

გზამკვლევი სასაქონლო სისტემაში

სისხლის სამართლის პროცესი

2003 წლის მარტი

ასოციაცია მადლობას უხდის
უზენაეს სასამართლოს,
საერთო სასამართლოების
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
დეპარტამენტს, იუსტიციის საბჭოსა და
ქუთაისის საოლქო სასამართლოს განუვლი დახმარებისათვის.

დამატებითი ინფორმაციისათვის
მოგვამართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ინგოროყვას 14
ტელ: 935841, 922914
ფაქსი: 920596
E-Mail: alpeonline@gol.ge

გზამკვლევის ელექტრონულ ვერსიას
იხილავთ ALPE-ს ვებ-გვერდზე:
WWW.SAMARTALI.GE

ს ა რ რ ე ვ ი

თავი I	5
1.1. შესავალი	5
1.2. სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი დებულებანი	6
1.3. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები	7
1.4. სასამართლოს განსჯადობა და კომპეტენცია	9
1.5. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, წინასწარი გამოძიება, ბრალდების წაყენება, დაკავება	12
1.6. აღკვეთის ღონისძიებანი	18
1.7. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება	19
1.8. სისხლის სამართლის პროცესის საჯაროობა	20
თავი II - საქმის წარმოება შირეული ინსტანციის სასამართლოში	21
2.1. სამართალში მიცემა	21
2.2. ზოგადი დებულებანი სასამართლო განხილვის შესახებ	24
2.3. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი	25
2.4. სასამართლო გამოძიება	26
2.5. სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა	26
2.6. განაჩენის დადგენა	27
თავი III - მანაჩინა და სხვა მანაჩეუთილუის მანაჩინა	29
3.1. აპელაცია	29
3.2. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებათა სახეები	31

თავი IV - მანაჩენისა და სხვა სასამართლო მანაჩევეტილას მანაჩევე ანაღ უღოჩენიღ და ანაღ მამოვენიღ მანაჩევეათა მამო	32
4.1. კასაცია	32
4.2. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილბათა სახეები	33
თავი V - ზოუსუნაღნ ღოქავესთა ნიჟუჟაი	35
5.1. განაჩენისა და სხვა სასამართლო გადანყვეტილბების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა მამო	35
ნიმუში I. სააპელაციო საჩივარი	37
ნიმუში II. კერძო ბრალდების საჩივარი	38
ნიმუში III. საკასაციო საჩივარი	39
ნიმუში IV. საჩივარი ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა მამო	40
ღანართი	41
ღანართი I. საერთო სასამართლოების საკონტაქტო მონაცემები	42
ღანართი II. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები	54

თავი I

1.1. შესავალი

მიზანი

წიგნის „გზამკვლევი სასამართლო სისტემაში“ მიზანია, გაუადვილოს მოქალაქეს კანონით მინიჭებული უფლებების სასამართლოს საშუალებით განხორციელება. გზამკვლევი მკითხველს დაეხმარება უკეთ გაეცნოს საქართველოს სასამართლო სისტემას, მის სტრუქტურასა და პროცესუალურ მოქმედებათა წესებს. მასში გადმოცემულია სასამართლოსთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპები. ეს გამოცემა სისხლის სამართლის საპროცესო საკითხებს მიმოიხილავს. იგი განკუთვნილია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის და სწორედ ამიტომ, შევეცადეთ მაქსიმალურად გაგვემარტივებინა სამართლის ენა. ამ წიგნის საშუალებით მკითხველი გაეცნობა სისხლის სამართლის საქმის წამოებასთან დაკავშირებულ უფლებამოვალეობებსა და მიიღებს მათი განხორციელებისათვის საჭირო პრაქტიკულ რჩევებს.

აქვე, თანდართული სახით წარმოდგენილია ნიმუშები, თუ როგორ უნდა დაინეროს სხვადასხვა სახის პროცესუალური დოკუმენტი.

1.2. სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი დებულებანი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი წყაროებია:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“.

სისხლის სამართლის პროცესი მიზნად ისახავს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტობრივი გარემოებების და მისი ჩამდენი პირის დადგენას, ნებისმიერი მოქალაქის, ასევე ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და დაზარალებულის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოიყენება მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. საქართველოში ყველა ადამიანის მიმართ მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პირი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ხოლო განაჩენი კანონიერ ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუკი მხარემ ის დადგინდ დროში არ გაასაჩივრა. ბრალის დადასტურების მოვალეობა მთლიანად ბრალმდებელს ეკისრება. ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებას. თუ ეჭვი არ დადასტურდა კანონით დადგენილი წესით, მაშინ სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და განსასჯელის სასარგებლოდ. კონსტიტუციის ან კანონის დარღვევას შედეგად მოჰყვება უკანონო აქტის გაუქმება. იურიდიული ძალა არ გააჩნია ასევე კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას, ანუ თუ მტკიცებულების მოპოვება მოხდა ზენოლის ან სხვა მსგავსი ქმედებების შედეგად, მას იურიდიული ძალა ეკარგება.

საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ. დაუშვებელია სპეციალური სასამართლოების შემოღება. მოსამართლე თავის საქმიანობაში უნდა იყოს მიუკერძოებელი და სრულიად დამოუკიდებელი. მასზე ნებისმიერი სახის ზენოლა ისჯება კანონით.

პირის დამნაშავედ ცნობა და სასჯელის დანიშვნა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

საცხოვრებლის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, მიმონერის შემონმება დასაშვებია მხოლოდ სასამართლო ნებართვის საფუძველზე, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. თუმცა, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, მაგალითად, როდესაც არსებობს მტკიცებულების განადგურების, ან გადამალვის საფრთხე, ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელება შესაძლებელია სასამართლო ნებართვის გარეშეც, მაგრამ შემდგომ სავალდებულოა მათი დაკანონება. თუ უკანონოდ გამჟღავნდა ცნობები პირადი ცხოვრების თაობაზე, რის შედეგადაც ზიანი მიადგა ამა თუ იმ პიროვნებას, მას უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოში საქმის განხილვა ღიად მიმდინარეობს. ყველას აქვს უფლება დაესწროს და ტექნიკური საშუალებებით ჩაინეროს სასამართლო სხდომები. დასწრების, ან ჩანერის აკრძალვა შეიძლება სასამართლოს მოტივირებული გადანყვეტილების საფუძველზე, ასევე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

1.3. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები არიან:

- სასამართლო,
- პროკურორი,
- გამომძიებელი,
- მოკვლევის ორგანოები,
- დაზარალებული და მისი წარმომადგენელი,
- ეჭვმიტანილი, ბრალდებული და მისი დამცველი,
- სამოქალაქო მოსარჩელე და მოპასუხე, მათი წარმომადგენლები,
- მონმე,
- ექსპერტი,
- სპეციალისტი,
- თარჯიმანი,
- დამსწრეები

დანაშაულის ნიშნების არსებობისას, სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე.

კანონმდებლობით განსაზღვრულია სისხლისამართლებრივი დევნის შემდეგი სახეები:

ა) საჯარო სისხლისამართლებრივი დევნა. მას ახორციელებს მოკვლევის ორგანო, პროკურორი, ან გამომძიებელი დანაშაულის ნიშნების შემცველი შეტყობინების საფუძველზე (ფიზიკური პირის, ორგანიზაციის განცხადება, საჩივარი, მას მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია). ამას გარდა, ისინი არ იზღუდებიან დაზარალებულის პოზიციით, თუკი გამოიკვეთა სხვა ისეთი დანაშაულის ნიშნებიც, რაზეც თავდაპირველად არ ყოფილა საუბარი.

ბ) სუბსიდიური სისხლისამართლებრივი დევნა. ამ დროს დაზარალებულს უფლება აქვს სასამართლოში მხარი დაუჭიროს ბრალდებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის მას.

გ) კერძო-საჯარო სისხლისამართლებრივი დევნა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით¹ გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქმეები აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე. საქმის მსვლელობა არ წყდება ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგების შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის გამოძიებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს დაზარალებულს. თუ საქმის გამოძიებას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, პროკურორს უფლებამოსილია აღძრას ზემოაღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმე, მიუხედავად იმისა მიმართა თუ არა მას დაზარალებულმა. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, პროკურორს უნდა ჰქონდეს ქმედუნარიანი დაზარალებულის წერილობითი თანხმობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

დ) კერძო სისხლისამართლებრივი დევნა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით² გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქმეები აღიძვრება მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, მაგრამ წყდება მისი ბრალდებულთან შერიგების შემთხვევაში. ამგვარ საქმეებში პროკურორი მონაწილეობს ან მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ან მაშინ, როდესაც საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საქმის მსვლელობა არ შეიძლება შეწყდეს შერიგებით.

¹ 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, 138-ე მუხლის პირველი ნაწილით, 139-ე, 153-ე, 157-ე, 167-ე, 175-ე და 189-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ

² სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე, 125-ე და 148-ე მუხლები

1.4. სასამართლოს განსჯადობა და კომპეტენცია

საქართველოს საერთო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებს შემდეგი სასამართლოები განიხილავენ:

- **რაიონული (საქალაქო) სასამართლოები**

პირველი ინსტანციით ერთპიროვნულად იხილავენ ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს (გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც ქვემოთ იქნება მოყვანილი).

- **თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები**

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია

სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა

საგამოძიებო კოლეგია

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია პირველი ინსტანციით, სამი მოსამართლის შემადგენლობით, კოლეგიურად იხილავს საქმეებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით³ გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულზე, აგრეთვე შემდეგი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე:

- საქართველოს პროკურატურის წევრი (გარდა საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის წევრებისა);
- გამომძიებელი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ქალაქის მერის;
- რაიონისა და ქალაქის გამგებელი,
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უმცროსი და უფროსი ოფიცრები.

³ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით, 137-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 143-144-ე, 146-147-ე, 162-164-ე მუხლებით, 212-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 214-ე მუხლის მე-2-მე-6 ნაწილებით, 222-224-ე, 227-235-ე მუხლებით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 262-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 280-ე, 338-ე, 364-ე-367-ე მუხლებით, 378-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 381-ე, 391-ე, 401-402-ე მუხლები

— სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა მეორე ინსტანციით სამი მოსამართლის შემადგენლობით იხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

— საგამოძიებო კოლეგია იხილავს საჩივრებს და შუამდგომლობებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

● **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები**

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებში მოქმედებს საოლქო სამართლოს ანალოგიური პალატები და კოლეგიები საქმეთა განხილვის ერთნაირი წესით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოთა განსჯადობა შემოიფარგლება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებში მოქმედებს პრეზიდენტები, რომლებიც განიხილვენ საჩივრებსა და წარდგინებებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესახებ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

● **საქართველოს უზენაესი სასამართლო**
სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია
სისხლის სამართლის საქმეთა პალატა
დიდი პალატა

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით კოლეგიურად იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლებით⁴ გათვალისწინებულ დანაშაულთა თაობაზე, აგრეთვე შემდეგი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე:

⁴ 308-321-ე, 323-331-ე, 404-413-ე მუხლები

- პრეზიდენტი;
- საქართველოს პარლამენტის წევრები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დეპუტატები და მთავრობათა წევრები;
- სახალხო დამცველი;
- კონტროლის პალატის თავმჯდომარე;
- ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი;
- საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და დესპანი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და სამხედრო ძალების უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის წევრები ადვოკატების ბრალდებისა გამო;

— **სისხლის სამართლის საქმეთა პალატა** არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს საკასაციო საჩივრებს საქართველოს რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

— **საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა** წარმოადგენს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, რომელსაც საქმეს განსახილველად გადასცემს უზენაესი სასამართლოს რომელიმე პალატა, როდესაც:

- საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- საქმის სირთულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ამა თუ იმ ნორმის ახლებურ განმარტებას;
- საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. დიდი პალატა საქმეს იხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით და მას თავმ-

ჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან, მისი დავალებით, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე. საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ის სამი მოსამართლე, რომელმაც საქმე გადასცა დიდ პალატას.

სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდა დანაშაული. თუ საქმე ეხება დანაშაულთა ერთობლიობას (ორ ან მეტ დანაშაულებრივ ქმედებას), ან ერთი დანაშაულის ეპიზოდთა ერთობლიობას, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდა ყველაზე მძიმე დანაშაული ან ეპიზოდი.

1.5. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, წინასწარი გამოძიება, ბრალდების წაყენება, დაკავება

გადანყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ან მასზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს გამომძიებელი ან პროკურორი იღებს დადგენილების ფორმით. დადგენილებაში აღინიშნება შემდეგი:

- საქმის აღმძვრელი პირი;
- საქმის აღძვრის საბაზი და საფუძველი;
- ფაქტი, რის გამოც აღიძრა საქმე;
- სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი ან მუხლის ნაწილი, რომლის მიხედვითაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

დადგენილების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება პროკურორსა და დანაშაულის შემტყობინებელ პირს. დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორთან ასლის მიღებიდან **10 დღის ვადაში**, ხოლო დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ – **15 დღის ვადაში** პროკურორთან, ან დაინტერესებული პირის მიერ – სასამართლოში. დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით თავდაპირველად ტარდება მოკვლევა, რომელიც წარმოადგენს წინასწარი გამოძიების პირველ ეტაპს. წინასწარი გამოძიება უნდა დამთავრდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან **3 თვეში**. წინასწარი გამოძიების დამთავრების თარიღად მიიჩნევა ის დღე, როცა პროკურორი სასამარ-

თლოში გაგზავნის საქმეს საბრალდებო დასკვნით, ან დადგენილებით სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, ასევე როცა გამოიტანს დადგენილებას საქმის შეწყვეტის თაობაზე. წინასწარი გამოძიების ვადაში არ შედის:

- წინასწარი გამოძიების შეჩერების დრო;
- დრო დამატებითი გამოძიებისათვის სასამართლოს მიერ საქმის დაბრუნებიდან მის მიღებამდე;
- ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ საქმის მასალების გაცნობის დრო.

წინასწარი გამოძიების სამთვიანი ვადის გაგრძელების უფლება აქვთ:

- **4 თვემდე** – რაიონის, ქალაქის, რეგიონული სამხედრო, რეგიონული ტრანსპორტის, სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურორებს;
- **8 თვემდე** – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ასევე თბილისის, საქართველოს ტრანსპორტის, საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურორის მოადგილეს და საოლქო პროკურორებს;
- **12 თვემდე** – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს;
- **12 თვეზე მეტი ვადით** – საქართველოს გენერალურ პროკურორს.

მომკვლევნი, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ საგამომძიებო მოქმედების მიმდინარეობის და მისი შედეგების ჩვენებათა შინაარსის, მთლიანად საქმის ან მისი გარკვეული ნაწილის შინაარსის, ასევე ექსპერტთა დასკვნის მონაცემების გაუმჟღავნებლობა. აღნიშნული ვალდებულება არ ეკისრებათ ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს.

ბრალდების წაყენება ხდება, როცა წინასწარი გამოძიების (მოკვლევის) შედეგად შეკრებილი მტკიცებულებები საკმარისია იმისათვის, რომ არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. გამომძიებელს და პროკურორს გამოაქვთ დასაბუთებული დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილებაში აღინიშნება:

- ბრალდებული პირის სახელი და გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;
- ბრალდების ფორმულირება (ქმედების აღწერა, რომელშიც მას ბრალი ედება);
- დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი თუ საშუალება, იარაღი, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგი;
- მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

- სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი ან ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს **48 საათისა**, ხოლო ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში – მისი მოყვანიდან **24 საათის** განმავლობაში. ბრალდების წასაყენებლად გამოძახებულ პირსა და მის დამცველს გადაეცემათ დადგენილების ასლი, რომელშიც ჩამოთვლილია ბრალდებულის უფლებები და მოვალეობები. ბრალდების წაყენებიდან პირველ დაკითხვამდე ბრალდებულს საშუალება ეძლევა პირისპირ შეხვდეს თავის დამცველს. თუ ბრალდებული დაკავებულია, შეხვედრის ვადა არ უნდა აღემატებოდეს **1 საათს**.

გამოძიების დამთავრების შესახებ გამომძიებელმა წერილობით უნდა შეატყობინოს ბრალდებულს, დამცველს, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს. შეტყობინებაში ასევე მითითებული უნდა იყოს საქმის გაცნობის დრო და ადგილი. ზემოთ ჩამოთვლილ პირებს უფლება აქვთ ინდივიდუალურად გაეცნონ საქმის მასალებს, თავიანთი ხარჯებით მიიღონ საქმეში არსებული ნებისმიერი დოკუმენტის ასლი.

საბრალდებო დასკვნა შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან.

შესავალ ნაწილში მითითებულია ბრალდებულის ან ბრალდებულთა სახელი და გვარი, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც კვალი-ფიცირდება ბრალდებულის მოქმედება.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებულია:

- დანაშაულის გარემოებები (დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, მოტივი, შედეგები და სხვა);
- ბრალდებულის ბრალეულობის დამასტურებელი მტკიცებულებები;
- პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები;
- ბრალდებულის მიერ თავის დასაცავად გამოყენებული მოსაზრებები და მათი გაბათილება.

საბრალდებო დასკვნაში მითითებული უნდა იყოს საქმის ტომებისა და ფურცლების რაოდენობა. სარეზოლუციო ნაწილი მოიცავს მონაცემებს ბრალდებულის პიროვნების შესახებ, ასევე წაყენებული ბრალდების ფორმულირებას სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მითითებით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის.

საბრალდებო დასკვნას ადგენს და ხელს აწერს გამომძიებელი მისი შედგენის ადგილისა და თარიღის მითითებით და სისხლის სამართლის საქმესთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის პროკურორს. პროკურორი ან მისი მოადგილე ვალდებულია **5 დღე-ღამის განმავლობაში** ზედმინუვით გადაამონმოს შემოსული საქმე. საბრალდებო დასკვნას ამტკიცებს პროკურორი ან მისი მოადგილე, რომელიც ასლს გადასცემს ბრალდებულს და საქმეს დამტკიცებიდან **48 საათის განმავლობაში** უგზავნის სასამართლოს (განსჯადობის გათვალისწინებით). ამის შემდეგ ყველა სახის შუამდგომლობა თუ საჩივარი წარედგინება უშუალოდ სასამართლოს.

ექვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი

ექვმიტანილი

თუ დაფიქსირდა დანაშაულის ფაქტი, მაშინ საგამომძიებო ორგანოები აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს. ამასთან, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი პირისთვის ბრალდების წასაყენებლად, საგამომძიებო ორგანოებს გამოაქვთ დადგენილება მისი ექვმიტანილად ცნობის თაობაზე.

ექვმიტანილი პირი შეიძლება იყოს ან არ იყოს დაკავებული. თუ ექვმიტანილი პირი დაკავებული არ არის, მის მიმართ ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს 30 დღის განმავლობაში. თუ ასე არ მოხდა, ვადის გასვლის შემდეგ დადგენილება მისი ექვმიტანილად ცნობის თაობაზე უქმდება. ექვმიტანილს, რომელიც დაკავებული არ არის, უფლება აქვს:

- ა) მისცეს ან არ მისცეს ჩვენება;
- ბ) ისარგებლოს დამცველის მომსახურებით;
- გ) დაკითხვის ან სხვა საგამომძიებო მოქმედებათა განხორციელებისას, თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა, უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

- დ) განაცხადოს შუამდგომლობანი და აცილებანი;
- ე) წარმოადგინოს მტკიცებულებანი;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს მისი ან მისი დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;
- ზ) გაასაჩივროს მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოთა მოქმედებები და გადაწყვეტილებები პროკურორთან, პროკურორის მოქმედებები და გადაწყვეტილებები – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში – სასამართლოში;
- თ) მიიღოს ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ, დაუსაბუთებლად აღძვრისა და დაკავების შედეგად;
- ლ) მიიღოს ამომწურავი განმარტება მომკვლევისა და გამომძიებლისაგან თავისი უფლებების შესახებ;
- მ) მისი ეჭვმიტანილად ცნობისთანავე, ხელზე მიიღოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილებათა ასლები.

ეჭვმიტანილის მიერ თავისი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება გაგებული ან განმარტებულ იქნას როგორც მისი დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ეჭვმიტანილს, რომელიც დაკავებულია, **გარდა** ზემოთ ჩამოთვლილისა, უფლება აქვს:

- ა) პოლიციის დაწესებულებაში, ან მოკვლევის სხვა ორგანოში მისი მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში ხელზე მიიღოს დადგენილებათა ასლები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, მისი ეჭვმიტანილად ცნობის და დაკავების შესახებ;
- ბ) პირისპირ, მარტო შეხვდეს დამცველს დღეში არაუმეტეს ერთი საათისა;
- გ) პირველივე დაკითხვის შემდეგ მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა;
- დ) შეატყობინოს ნათესავებსა და ახლობლებს მისი დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი;

ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. თუ ამ დროში არ მოხდება ბრალდების წაყენება, დადგენილება სისხლის

სამართლის საქმის აღძვრისა და ეჭვმიტანილად ცნობის თაობაზე უქმდება, რის შემდეგაც დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

პირის დაკავების შემთხვევაში, დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ეჭვმიტანილად ცნობის თაობაზე გამოტანილ უნდა იქნას პირის პოლიციის ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში.

ეჭვმიტანილს დაუყოვნებლივ უნდა განემარტოს, რომ მას უფლება აქვს დაიცვას დუმილი, არ დაიბრალოს დანაშაული და მოინვიოს დამცველი. თუ დადგენილება ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ არ არის გამოტანილი და ეს მისთვის დადგენილ ვადაში არ გამოუცხადებიათ, ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა გათავსდეს. ეჭვმიტანილი უნდა დაიკითხოს დაკავებულთა მოთავსების ადგილზე მიყვანიდან 24 საათის განმავლობაში. დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება ეჭვმიტანილის როგორც პირველი, ისე შემდეგი დაკითხვების დროსაც.

ბრალდებული

ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. ასეთი დადგენილების გამოტანის უფლება აქვთ გამომძიებელს ან პროკურორს იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.

ბრალდებულს იგივე უფლებები აქვს, რაც ეჭვმიტანილს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მას ასევე უფლება აქვს:

- ა) ხელზე მიიღოს მისი ბრალდებულად დაკავების შესახებ დადგენილების ასლი;
- ბ) გაეცნოს დადგენილებას ექსპერტის ჩატარების შესახებ;
- გ) გაეცნოს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას;
- დ) მოითხოვოს დაპირისპირება იმ პირთან, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში;
- ე) მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების სავალდებულო ჩატარება;
- ვ) გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებიც გამოდგება ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;

- ზ) გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს წარუდგინოს კერძო გამოძიების მონაცემები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს;
- თ) გაეცნოს საქმის მასალებს;
- ი) არ დაეთანხმოს საქმის შეწყვეტას წინასწარი გამოძიების სტადიაზე და მოითხოვოს საქმის სასამართლო განხილვა;
- კ) პროცესის მწარმოებელი ორგანოსაგან მიიღოს წერილობითი შეტყობინება თავისი უფლებების შესახებ და მათი განმარტება;
- ლ) დაიკითხოს დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის განცხადებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეჭვიტანილსა და ბრალდებულს უფლება აქვთ ისარგებლონ დამცველის (ადვოკატის) დახმარებით, ან უარი თქვან ამაზე და დამოუკიდებლად დაიცვან თავი. ორგანოს, რომელიც აწარმოებს პროცესს, უფლება არ აქვს მიიღოს ეჭვიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის უარი, თუ:

- ა) იგი არასრულწლოვანია;
- ბ) მას აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;
- გ) მან არ იცის სამართალწარმოების ენა;
- დ) მას ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად შეიძლება დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- ე) იგი გაგზავნილია სტაციონარულ სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე;
- ვ) მათ ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;
- ზ) დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი.

1.6. ალკვეთის ღონისძიებები

ალკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმისათვის, რომ საქმეზე დადგინდეს ქეშმარიტება და აღსრულდეს განაჩენი, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა ბრალდებულმა თავი აარიდოს წინასწარ გამოძიებას და სასამართლოს, ან კვლავ ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება.

აღკვეთის ღონისძიების სახეებია:

- დაპატიმრება;
- შინაპატიმრობა;
- პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა;
- გირაო;
- ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანდო ქცევის შესახებ;
- პირადი თავდებობა;
- არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა;
- სამხედრო მოსამსახურის ქცევაზე სარდლობის მეთვალყურეობა.

ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **24 თვეს**. პატიმრობისა და შინაპატიმრობის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს **9 თვეს**. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს წაყენებული ბრალდების სიმძიმე, ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა და სხვა.

1.7. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია), 125-ე (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა) და 148-ე მუხლებით (ცილისნამება დანაშაულის დაბრალებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე. წერილობითი ფორმით შედგენილი საჩივრის შეტანა ხდება განსჯად რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში (საჩივრის ფორმა მოცემულია დანართში). კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივანის პასუხისმგებლობას შეგნებულად ცრუ დასმენისათვის. საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლე ამონმებს მის საფუძვლიანობას და **7 დღის** განმავ-

ლობაში იღებს დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. თუ დაზარალებული შეურიგდა პირს, რომლის მიმართაც იყო შეტანილი საჩივარი, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. პროკურორი იმ შემთხვევაში იღებს მონაწილეობას კერძო ბრალდების საქმეთა წარმოებაში, თუ საქმის გამოკვლევას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ან დაზარალებულს არ ძალუძს თავად დაიცვას საკუთარი უფლებები.

1.8. სისხლის სამართლის პროცესის საჯაროობა

სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა.

პროცესის მონაწილეებსა და სხვა პირებს აქვთ პროცესის დროს ჩამწერი საშუალებების უხმაუროდ გამოყენების უფლება, თუ ისინი ხელს არ უშლიან სასამართლო განხილვას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით.

პროცესის ვიდეო ან აუდიო ჩანერა, ფოტოგადაღება, ტელევიზიით ტრანსლაცია და ა.შ. შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით.

სასამართლო სხდომა შეიძლება დაიხუროს მხარეთა მოთხოვნით იმ შემთხვევაში თუ ის ეხება 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა დანაშაულის, სექსობრივი დანაშაულის, ან ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნობების გაუხმაურებლობის საკითხებს. სასამართლო სხდომა დახურულად ცხადდება სასამართლო განჩინებით (დადგენილებით).

დახურულ სხდომაზე განიხილება, ასევე, საგამოძიებო ორგანოების შუამდგომლობები სასამართლო ბრძანების გამოთხოვის შესახებ.

სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვას 16 წლამდე ასაკის პირი არ უნდა დაესწროს.

საპროცესო კანონმდებლობა მოკვლევის ან/და წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს თავად გამოძიებლის ან პროკურორის უფლებამოსილებად მიიჩნევს, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით.

თავი II

საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

2.1. სამართალში მიცემა

ბრალდებული პირის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ იწყება საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში. თუ არსებობს საქმის განსახილველად საკმარისი საფუძველი, მოსამართლე იღებს დადგენილებას ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. ამ დროს, მოსამართლე პირის ბრალეულობის საკითხს არ წყვეტს. სამართალში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად შესაძლებელია დაინიშნოს განმწესრიგებელი სხდომაც.

განმწესრიგებელი სხდომა ინიშნება შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- ა) ბრალდებული არასრულწლოვანია;
- ბ) იხილება ისეთი საქმე, რის შედეგადაც პირს შესაძლებელია სასჯელად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- გ) მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას;
- დ) მხარე შუამდგომლობს დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ.

შუამდგომლობის გადაწყვეტის შედეგი ეცნობება მის ავტორს. მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრება არ არის დაშვებული, მაინც შესაძლებელია მისი განმეორებით განცხადება სასამართლო სხდომაზე.

მოსამართლეს (სასამართლოს) ფუნქციები განმწესრიგებელ სხდომაზე შემდე-

გია: ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა; დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნება, წარმოებით საქმის შეწყვეტა; საქმის წარმოების შეჩერება ან მისი განსჯადობით წარმართვა; აღკვეთის ღონისძიების შესახებ საკითხის შეწყვეტა. ბრალდებულის სამართალში მიცემის შემთხვევაში, მოსამართლეს განმწესრიგებელ სხდომაზე შეუძლია საბრალდებო დასკვნიდან ამორიცხოს ბრალდების ზოგიერთი პუნქტი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ, ამასთან არ შეცვალოს ბრალდების ფორმულირება.

სამართალში მიცემის საკითხი მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს 14 დღე-ღამის განმავლობაში. თუ სისხლის სამართლის საქმე რთული კატეგორიის განეკუთვნება, მაშინ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს **1 თვის** განმავლობაში წარმოებაში არსებულ ბოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

საქმის შეჩერება

მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ დადგინდება, რომ ბრალდებული მიიმალა და მისი ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის. ასეთ შემთხვევაში, საქმე ჩერდება ბრალდებულის მოძებნამდე.
- ბ) თუ სახელმწიფო სამსახურში მყოფი ექიმი დაასტურებს ბრალდებულის ფსიქიკური ან სხვა ავადმყოფობით დაავადების ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, საქმე ჩერდება ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე.

საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიებისათვის

მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ გამოძიება არსებითად არასრულია და არ არის შესაძლებელი მისი სასამართლო სხდომაზე შევსება;
- ბ) თუ მომკვლევმა, გამოძიებელმა ან პროკურორმა არსებითად დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნები, რაც ხელს უშლის საქმის განხილვას სასამართლოში;

- გ) თუ პროკურორი შუამდგომლობს ბრალდებულისათვის უფრო მძიმე, ან ისეთი ბრალდების წაყენებას, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველი ბრალდებისაგან;
- დ) თუ პროკურორი შუამდგომლობს ბრალდებულად სხვა პირების ჩაბმას;
- ე) თუ საქმეები არასწორად არის გაერთიანებული ან გამოყოფილი;
- ვ) თუ დაზარალებული დასაბუთებულად შუამდგომლობს ბრალდებულისათვის უფრო მძიმე, ასევე ისეთი ბრალდების წაყენებას, რომელიც განსხვავდება პირველი ბრალდებისაგან, ანდა – ბრალდებულად სხვა პირის ჩაბმას.

საქმის დამატებითი გამოძიებისთვის დაბრუნების შემთხვევაში, მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია გადაწყვიტოს ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების საკითხი.

მხარეებს უფლება აქვთ 5 დღის განმავლობაში გაასაჩივრონ სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული დადგენილება. რაიონული სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების, ასევე თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიებში. ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიების განჩინებების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სასამართლოებმა საჩივარი უნდა განიხილონ 10 დღის ვადაში.

ბრალდებულის სამართალში მიცემიდან 5 დღეში, ხოლო რთულ საქმეებზე 10 დღეში მხარეებს უფლება აქვთ დამატებით გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ სათანადო ამონაწერები და გადაიღონ ასლები. სასამართლო განხილვაში მონაწილე დამცველს, რომელსაც წინასწარ გამოძიებაში მოაწილეობა არ მიუღია და განსასჯელს, რომელიც წინასწარი გამოძიების დამთავრებისას საქმის მასალებს არ გაცნობია, უფლება აქვთ გაეცნონ საქმეს, გააკეთონ სათანადო ამონაწერები და გადაიღონ ასლები საქმის სასამართლო განხილვის დაწყებამდე 10 დღის ვადაში, ხოლო რთულ საქმეებზე – 30 დღის ვადაში.

თუ სამართალში მიცემის საკითხის განხილვისას შეიცვალა ბრალდება, აღკვეთის ღონისძიება ან სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია, მაშინ განსასჯელს უნდა ჩაბარდეს მოსამართლის დადგენილების ასლი. საქმის განხილვა უნდა დაინიშნოს განსასჯელისთვის აღნიშნული დოკუმენტის ჩაბარებიდან 5 დღის შემდეგ.

სასამართლოში საქმის განხილვა უნდა დაიწყოს ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლის მიერ დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 10 დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე – არა უგვიანეს 14დღე-ღამისა.

2.2. ზოგადი დებულებანი სასამართლო განხილვის შესახებ

სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციის სასამართლოები შემდეგნაირად განიხილავენ:

- რაიონული სასამართლო – ერთი მოსამართლის შემადგენლობით;
- აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოები, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები - სამი მოსამართლის შემადგენლობით;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია – ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

სასამართლოში საქმეს განიხილავს ერთი და იგივე შემადგენლობა. თუ მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მაშინ საქმეს იხილავს იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლე, მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმის განხილვა თავიდან იწყება.

თუ საქმის განხილვა დიდ დროს მოითხოვს, სასამართლოს სხდომას შეიძლება დაესწროს სათადარიგო მოსამართლე ან მსაჯული. ისინი საქმის განხილვაში არ მონაწილეობენ, მაგრამ, აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლიან ძირითად მოსამართლეს ან მსაჯულს. ასეთ დროს საქმის განხილვა თავიდან არ იწყება.

სასამართლო განხილვის დროს, ბრალდების და დაცვის მხარეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. როდესაც ერთი მხარე აკეთებს განცხადებას შუამდგომლობის თაობაზე, სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.

სასამართლოში საქმის განხილვა მთლიანად აისახება სასამართლო სხდომის ოქმში. სხდომის ოქმი უნდა მომზადდეს სხდომის დამთავრებიდან 5 დღე-ღამის განმავლობაში და ამის თაობაზე უნდა ეცნობოს მხარეებს. მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს მხარეებისთვის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა. სასამართლო სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ 5 დღე-ღამის განმავლობაში მხარეებს უფლება აქვთ შენიშვნები შეიტანონ სხდომის ოქმში. მოსამართლე ვალდებულია განიხილოს სხდომის ოქმზე შემოსული შენიშვნები და დადგენილებით დაადასტუროს ან უარყოს ისინი. აღნიშნული დოკუმენტები თან უნდა დაერთოს საქმეს.

2.3. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი

საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე მხარეებს უფლება აქვთ შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ მოსამართლის, პროკურორის, ექსპერტის, სპეციალისტის ან დამცველის აცილება. ასევე, მათ შეუძლიათ დააყენონ შუამდგომლობები, რომ გამოითხოვონ ან საქმეს დაურთონ ახალი მტკიცებულებანი, მოიწვიონ მონშეები, ექსპერტები, დანიშნონ ექსპერტიზა, ასევე გამოითხოვონ ნივთიერი მტკიცებულებები და საქმესათან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები. შუამდგომლობის აღძვრისას, პირმა უნდა მიუთითოს, თუ რა გარემოებათა დასადგენად განაცხადა მან ამის შესახებ. მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა განიხილოს ყოველი გაცხადებული შუამდგომლობა და გამოარკვიოს პროცესის მონაწილეთა აზრი ამის თაობაზე. თუ გარემოებები, რომელთა დასადგენადაც არის გაცხადებული შუამდგომლობა, საქმისთვის მნიშვნელოვანია, სასამართლო აკმაყოფილებს მას. თუ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ამის შესახებ მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გასაჩივრებას არ ექვემდებარება, თუმცა პირს, რომელსაც უარი უთხრეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უფლება აქვს ხელახლა გააკეტოს განაცხადი საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო გამოძიების სტადიაზე.

2.4. სასამართლო გამოძიება

სასამართლო გამოძიება იწყება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვით, რის შემდეგაც მოსამართლე განუმარტავს განსასჯელს მისთვის წაყენებული ბრალდების არსს, ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს. ამის შემდეგ, მოსამართლე ეკითხება განსასჯელს, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. სასამართლომ განსასჯელს უნდა განუმარტოს, რომ იგი არ არის შეზღუდული წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით, ასევე არ არის ვალდებული პასუხი გასცეს დასმულ კითხვას და რომ ეს უარი არ იქნება გამოყენებული მისი საწინააღმდეგოდ. განსასჯელის დუმილი ნიშნავს, რომ იგი თავს დამნაშავედ არ სცნობს. მხარეებს უფლება აქვთ განსასჯელს დაუსვან დამაზუსტებელი კითხვები.

განსასჯელს უფლება აქვს არ მისცეს სასამართლოს ჩვენება და ეს უარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი საწინააღმდეგოდ (საზიანოდ). განსასჯელს უფლება აქვს, თავმჯდომარის ნებართვით, ჩვენება მისცეს ყოველი მტკიცებულების გამოკვლევისას, ისარგებლოს წერილობითი შენიშვნებითა და დოკუმენტებით.

სასამართლო დაკითხვის დროს მოწმეს განუმარტავს მის უფლებებსა და მოვალეობებს. პირს უფლება აქვს უარი თქვას მოწმედ გამოსვლაზე საკუთარი თავის ან თავისი ახლო ნათესავების წინააღმდეგ. მისი მოვალეობაა თქვას სრული სიმართლე საქმესთან დაკავშირებით. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ყოველივე ამის შესახებ პირს წინასწარ ჩამოერთმევა ხელწერილი.

2.5. სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა

სასამართლო კამათი მიმდინარეობს შემდეგი რიგითობის დაცვით:

1. სახელმწიფო ან კერძო ბრალმდებელი
(დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი)
2. სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი

3. დამცველი ან მისი მისი წარმომადგენელი
4. დამცველი ან განსასჯელი
(თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს)
5. სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.

კამათისას მხარეებს უფლება აქვთ გამოთქვან აზრი განსასჯელის დამნაშავედ ცნობის ან მისი უდანაშაულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელისა და განაჩენში გადასაწყვეტი სხვა საკითხების შესახებ. კამათის დასრულების შემდეგ, თითოეულ მათგანს უფლება აქვს კიდევ ერთხელ, მოკლედ გამოთქვას საინააღმდეგო აზრი ან შენიშვნა გამოსვლაში ნათქვამის თაობაზე.

